

**წყვეტილი დისლოკაციები:  
ნასხლეტი, შესხლეტა, შეცოცება, გრაბენი, ჰორსტი**

**თენგიზ შუბითიძე**  
[tengiz.shubitidze913@ens.tsu.edu.ge](mailto:tengiz.shubitidze913@ens.tsu.edu.ge)

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

წყვეტილი სტრუქტურები (პარაკლაზები) ეწოდება ქანების ისეთ აშლილობას, რომლის დროსაც ადგილი აქვს წყვეტის სიბრტყის მიმდებარე ქანების ბლოკების ურთიერთ-გადაადგილებას. ნასხლეტი და შესხლეტა ყველაზე გავრცელებული მარტივი წყვეტილი სტრუქტურებია. ნასხლეტი ეწოდება ისეთ დისლოკაციას, რომელშიც წყვეტის (რღვევის) სიბრტყის გასწვრივ დაწეულია ზედა ბაგე, ანუ წყვეტის სიბრტყე დაქანებულია დაწეული ბაგისკენ. ნასხლეტები წარმოიშობა მიწის ქერქის გაჭიმვის პირობებში. შესხლეტა ეწოდება წყვეტას, რომლის შემთხვევაში ზედა ბაგე გადაადგილებულია ზევით, ანუ წყვეტის სიბრტყე დაქანებულია აწეული ბაგის მხარეს. შესხლეტები წარმოიშობა კუმშვითი დამაბულობის შედეგად. შესხლეტის ტიპის წყვეტებს, რომლებიც წარმოიშობიან დანაოჭებასთან ერთად, ან ზედედება ნაოჭა სტრუქტურებს შეცოცებები ეწოდება. ისინი წყვეტის სიბრტყის შედარებით მცირე დახრილობით (450-ზე ნაკლები) და გადაადგილების მეტი ჰორიზონტული ამპლიტუდით ხასიათდებიან. ნასხლეტები და შესხლეტები ბუნებაში ხშირად გვხვდება დაჯგუფებების სახით, რაც იწვევს მიწის ქერქის ამა თუ იმ უბნის დამსხვრევას და მის ბლოკურ აგებულებას. ასეთ შემთხვევაში გამოიყოფა რღვევითი სტრუქტურები – გრაბენები და ჰორსტები. გრაბენი - რღვევების სისტემით წარმოქმნილი გეგმაში ხაზოვანი სტრუქტურაა, რომელშიც ცენტრალური ბლოკი დაწეულია; ჰორსტი - საპირისპირო სტრუქტურაა, რომელშიც ცენტრალური ბლოკი აზევებულია. გრაბენები და ჰორსტები შეიძლება წარმოიქმნას როგორც ნასხლეტების, ისე შესხლეტების სისტემით. დიდი მასშტაბის გრაბენების სისტემებს, რომლებშიც მაგმატიზმია გამოვლენილი რიფტებს უწოდებენ (მაგ., შუაოკეანური ქედების ღერძული ნაწილები, აღმოსავლეთ აფრიკის, ბაიკალის, რეინის). ამრიგად, წყვეტილი დისლოკაციებს უდიდესი როლი ენიჭებათ რეგიონული და პლანეტარული მასშტაბის ოკეანური და კონტინენტური გეოლოგიური სტრუქტურების ფორმირებაში.